ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 119252393**

თარიღი:**27/08/2025**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტისა და ,,საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების მე-2[1] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ამავე დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სტაჟიორის შესარჩევი კონკურსი მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით დანართი N1 შესაბამისად.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი